



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მეოთხე ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 4 აგვისტო, 2021 წელი

დრო: 13:00 -15:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია ტოლერანტი
3. მერი ლობჯანიძე - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
4. ნაირა ბეპიევა - ა(ა)იპ "კავკასიური მოზაიკა"
5. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
6. გიორგი ჭილაძე - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ანალიტიკის ასოციაცია
7. ივლიტა გოგუა - გაერთიანება ჯანმრთელობისა და განათლებისთვის

განსახილველი საკითხები:

1. ჯგუფის სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა
2. სექტორული შეხვედრებისთვის თემატიკის განსაზღვრა
3. პოზიციის დოკუმენტის მომზადების საკითხი

მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ცირა მესხიშვილმა. თავდაპირველად მან დამსწრეებს შეხვედრის დღის წესრიგი გააცნო. ჯგუფის წევრებს მიესალმა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა ეროვნული პლატფორმის სამომსავლო საქმიანობის ასპექტები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე იმსჯელეს მეოთხე ჯგუფის სამომავლო პრიორიტეტებზე. შეხვედრაში მონაწილე ჯგუფის წევრებმა დაასახელეს ის მიმართულებები, რომელიც შედის მეოთხე ჯგუფის საქმიანობის სფეროში. პრიორიტეტულ მიმართულებებად გამოიკვეთა:

1. კონფლიქტები
2. დეოკუპაციის ახალი სტრატეგიის განხილვა
3. საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოება
4. სახალხო დიპლომატიამი სახელმწიფოებრივი ხედვის გათვალისწინება
5. ახალგაზრდული საკითხები და მათი ჩართვა სამშვიდობო დიალოგებში
6. სახელმწიფოსგან პროგრამების მხარდაჭერის უზრუნველყოფა

ჯგუფმა იმსჯელა სექტორული შეხვედრების ორგანიზების საკითხზეც. ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს თემები, რომელზეც სამომავლოდ შეიძლება გაიმართოს სექტორული შეხვედრები შესაბამის უწყებებთან. ეს საკითხებია:

1. ახალგაზრდული საკითხების განხილვა ახალგაზრდობის სააგენტოსთან
2. კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა
3. რეინტეგრაციის სამინისტროს მიერ შემუშავებული 10 წლიანი სტრატეგიის მოსმენა
4. არაფორმალური განათლების მნიშვნელობა

იმსჯელეს ქვეჯგუფების ფორმირებისა და საქმიანობების შესახებ. მეოთხე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ფუნქციონირებას გააგრძელებს 2 ქვე-ჯგუფი და შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა მხარი დაუჭირა ქვეჯგუფების კოორდინატორებს:

1. განათლებისა და მეცნიერების ქვეჯგუფი - კოორდინატორი გიორგი ჭილაძე
2. კონფლიქტების ქვეჯგუფი - კოორდინატორი იულია ხარაშვილი

იმსჯელეს პოზიციის დოკუმენტის შემუშავების საკითხზეც. მონახაზისთვის, ჯგუფმა განიხილა განათლებისა და მეცნიერების, ასევე კონფლიქტების საკითხზე პოზიციის დოკუმენტების მომზადების საკითხი.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევანჭურაძე

